საქართველოს სახალხო დაცველი

ბრძანება

N 41

1 მარტი, 2019 წელი
ქ. თბილისი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის საკონსულტაციო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ პუნქტის, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის დებულების (დამტკიცებული საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის 18 დეკემბრის #459 ბრძანებით) 26-ე მუხლის მე-6 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, ამავე დებულების 30-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის 21 ივლისის №186 ბრძანება „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის საკონსულტაციო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ.“

2. დამტკიცდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის საკონსულტაციო საბჭოს დებულება თანდართული სახით (დანართი №1).

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის 20 ნოემბრის №316 ბრძანება „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგის ჯგუფის დებულების დამტკიცების შესახებ.“

4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის 6 დეკემბრის №335 ბრძანება „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის ჯგუფის წევრების შესარჩევი კომისიის შექმნის შესახებ.“

5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის 28 მარტის №68

ბრძანება „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგის ჯგუფის ფორმირების შესახებ.“

6. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე–12კმ, #6), მისი გაცნობიდან 1 თვის ვადაში.

ნინო ლომჯარია

სახალხო დამცველი

დამტკიცებულია: **დანართი №1**

საქართველოს სახალხო დამცველის
2019 წლის 1 მარტის №41 ბრძანებით.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის საკონსულტაციო საბჭოს დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს დებულება განსაზღვრავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის საკონსულტაციო საბჭოს (შემდგომში – „საბჭო“) სტატუსს, სტრუქტურას, საქმიანობის წესს, უფლებამოსილებას და მის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს.
2. საბჭო თავისი საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით და ამ დებულებით.
3. საბჭო წარმოადგენს სახალხო დამცველთან არსებულ სათათბირო ორგანოს.

მუხლი 2. საბჭოს მიზანი და უფლებამოსილებები

1. საბჭოს საქმიანობის მიზანია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის (შემდგომში - "კონვენცია") პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონოტორინგის ეფექტიანი განხორციელების ხელშეწყობა, კონვენციის პრინციპების გათვალისწინებით.
2. საბჭო კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის მიზნით სახალხო დამცველს წარუდგენს მოსაზრებებს შემდეგ საკითხებზე:
ა) კონვენციის პოპულარიზაციის მიზნით განსახორციელებელი აქტივობების შესახებ;
ბ) მონიტორინგის სტრატეგიის და პრიორიტეტების შესახებ;
გ) განსახორციელებელი აქტივობების გეგმის შესახებ;
დ) სამუშაო მეთოდოლოგიის შესახებ;
ე) თემატური კვლევების შესახებ;
ვ) მონიტორინგის განმახორციელებლ პირთა კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ;
ზ) კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგისათვის საჭირო სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.
3. საბჭოს გადაწყვეტილებას აქვს სარეკომენდაციო ხასიათი.
4. საბჭოს მოწვეული წევრები ხელს უწყობენ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტს აკადემიურ

წრეებთან, დონორ ორგანიზაციებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის დამყარებაში.
5. საბჭოს თითოეული წევრი უფლებამოსილია ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით დააფიქსიროს საკუთარი განსხვავებული პოზიცია, რომელიც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.
6. საბჭოს წევრს უფლება არა აქვს:
ა) გააკეთოს საჯარო განცხადება, რომელმაც შესაძლოა დააზიანოს კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის პროცესი ან/და ხელი შეუშალოს საბჭოს საქმიანობას;
ბ) გაამჟღავნოს საბჭოს საქმიანობის პროცესში მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია.

მუხლი 3. საბჭოს შემადგენლობა

1. საბჭო იქმნება საქართველოს სახალხო დამცველის ბრძანებით.
2. საბჭოს წევრთა შემადგენლობაში შედიან:
ა) სახალხო დამცველი;
ბ) სახალხო დამცველის მოადგილე;
გ) სახალხო დამცველის აპარატის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტის უფროსი;
დ) სახალხო დამცველის აპარატის გენდერის დეპარტამენტის უფროსი;
ე) სახალხო დამცველის აპარატის თანასწორობის დეპარტამენტის უფროსი;
ვ) სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის ეროვნული მექანიზმის (დეპარტამენტის) უფროსი;
ზ) სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებათა დეპარტამენტის უფროსი;
თ) საბჭოს მოწვეული წევრები, რომლებიც შეირჩევიან 2 წლის ვადით.
3. საბჭოს მოწვეული წევრების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 10 პირს. საბჭო უფლებამოსილია მოწვეულ წევრთა არანაკლებ ნახევარის 5 წევრის) დამტკიცების შემთხვევაში.
4. საბჭოში მოწვეული წევრი შეიძლება იყოს:
ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, რომლიც არ ახორციელებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რომელიმე ორგანიზაციის წარმომადგენლობას;
ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციის (DPO) წარმომადგენელი, მათ შორის, ფიზიკური, მენტალური, სენსორული შეზღუდვის მქონე პირთა თემისა და რეგიონში მოქმედი ШШ პირთა ორგანიზაციის (DPO) წარმომადგენლები;
გ) ШШ ბავშვის ან/და ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პირთა მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ორგანიზაციის წარმომადგენელი,ე) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის სფეროში მომუშავე ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელი/წევრი;
5. საბჭოში წევრის მოწვევისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მისი გამოცდილება, რეპუტაცია და მიუკერძოებლობა.
6. სახალხო დამცველი საბჭოს მოწვეული წევრების შერჩევის მიზნით მიიღებს განაცხადებს ამ მუხლის მე–7 პუნქტში დასახელებული სუბიექტებისგან. განაცხადს თან უნდა ერთვოდეს წარმოდგენილი კანდიდატის სამოტივაციო ან/და სარეკომენდაციო წერილი, რომელშიც დასაბუთებული უნდა იყოს მისი შესაბამისობა ამ დებულებით საბჭოს მოწვეული წევრისთვის დადგენილ მოთხოვნებთან.

7. საბჭოს მოწვეული წევრობის კანდიდატებს საქართველოს სახალხო დამცველს წარუდგენენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციები ან/და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საინიციატივო ჯგუფები 7 პირის შემადგენლობით. თითოეულ ორგანიზაციას ან/და საინიციატივო ჯგუფს აქვს მხოლოდ ერთი კანდიდატის წარდგენის უფლება.
8. განაცხადების მიღების შემდგომ, სახალხო დამცველი შეარჩევს საბჭოს მოწვეულ წევრებს, მათი გამოცდილების, კვალიფიკაციის, მიუკერძოებლობის და მოტივაციის გათვალისწინებით.
9. განაცხადების საკმარისი რაოდენობით არარსებობის შემთხვევაში, სახალხო დამცველი თავად შეარჩევს საბჭოს მოწვეულ წევრებს წინამდებარე მუხლის მე–4 პუნქტით და ამ დებულების მე–4 მუხლით დადგენილი კრიტერიუმების გათვალისწინებით.

მუხლი 4. საბჭოს წევრობის კრიტერიუმები

საბჭოში მოწვეული წევრები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ კრიტერიუმებს:
ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ინდივიდი: პირი, რომელსაც აქვს სფეროში მუშაობის მინიმუმ 2 წლიანი გამოცდილება და აღნიშნული დასტურდება მის მიერ წარმოდგენილი მასალებით (მომზადებული დოკუმენტები, გაფორმებული ხელშეკრულებები, ვიდეო ჩანაწერები, ფოტომასალა და სხვ.);
ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წარმომადგენლობითი ორგანიზაცია (DPO): ორგანიზაცია, რომელიც დარეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით; არ წარმოადგენს სახელმწიფო ან/და თვითმმართველობის ორგანოების მიერ განხორციელებული პროგრამების ფარგლებში მომსახურების მიმწოდებელს; გააჩნია სფეროში მუშაობის მინიმუმ 2 წლიანი გამოცდილება და აღნიშნული დასტურდება მის მიერ წარმოდგენილი მასალებით (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, განხორციელებული აქტივობების ანგარიში, გამოცემული პუბლიკაციები, ვიდეო და ფოტო მასალა და სხვ.)
გ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებზე მომუშავე საერთაშორისო ან/და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი (ექსპერტი): პირი, რომელსაც აქვს სფეროში მუშაობის მინიმუმ 2 წლიანი გამოცდილება და აღნიშნული დასტურდება მის მიერ წარმოდგენილი მასალებით (მომზადებული დოკუმენტები, გაფორმებული ხელშეკრულებები, ვიდეო ჩანაწერები, ფოტომასალა და სხვა).

მუხლი 5. საბჭოს წევრთა უფლებამოსილების შეწყვეტა

1. საბჭოს წევრს შეიძლება უფლებამოსილება შეუწყდეს საქართველოს სახალხო დამცველის გადაწყვეტილებით შემდეგი საფუძვლებით:
ა) პირადი განცხადება;
ბ) არასაპატიო მიზეზით სამჯერ ზედიზედ საბჭოს სხდომაზე გამოუცხადებლობა;
გ) საჯარო მოხელედ დასაქმება;
დ) რომელიმე სახელმწიფო უწყებასთან არსებული საკონსულტაციო/სათათბირო ორგანოს წევრობა;
ე) ისეთი გარემოების არსებობა, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებს მის მიუკერძოებლობას;
ვ) ამ დებულების მოთხოვნების დარღვევის გამო;

ზ) კანონმდებლობით დადგენილი წესით უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება ან გარდაცვლილად გამოცხადება;
თ) კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;
ი) გარდაცვალება.

მუხლი 6. საბჭოს საქმიანობის წესი

1. საბჭო საქმიანობას ახორციელებს სხდომების მეშვეობით. საბჭოს სხდომა ტარდება, თუ სხდომას ესწრება საბჭოს წევრების ნახევარი, მათ შორის, სულ მცირე, საბჭოს მოწვეულ წევრთა ნახევარი მაინც.
2. საბჭოს იწვევს და ხელმძღვანელობს საქართველოს სახალხო დამცველი, ხოლო მისი არყოფნისას, საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილე.
3. საბჭოს მოწვეულ წევრთა უმრავლესობას შეუძლია საბჭოს მოწვევის შესახებ მოთხოვნით მიმართოს საქართველოს სახალხო დამცველს.
4. საბჭოს საქმიანობას კოორდინაციას უწევს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტის უფროსი.
5. საბჭო იკრიბება საჭიროებისამებრ, მაგრამ კვარტალში ერთხელ მაინც. სახალხო დამცველს უფლება აქვს მოიწვიოს საბჭოს საგანგებო სხდომა.
6. საბჭოს სხდომის მოწვევისა და დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების შესახებ წინასწარ, ეცნობება საბჭოს წევრებს,
7. საბჭოს სხდომის მიმდინარეობის შესახებ დგება ოქმი, რომელშიც აისახება სხდომაზე გამოთქმული მოსაზრებები. ოქმის შედგენას უზრუნველყოფს საბჭოს სამდივნო, რომლის შემადგენლობაში შედიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტის უფროსი და ამავე დეპარტამენტის სპეციალისტი. სხდომის ოქმს ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და მდივანი.
8. საბჭო გადაწყვეტილებას იღებს კონსესუსის შედეგად.
9. საბჭოს წევრების საქმიანობა ანაზღაურებადი არ არის.
10. სახალხო დამცველის აპარატის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტის უფროსი საბჭოს წარუდგენს ანგარიშს განხორციელებული სამუშაოს, მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ძირითადი ტენდენციების და გამოწვევების, საჭიროებებისა და განსახორციელებელი აქტივობების გეგმის შესახებ.